ხელშეკრულება №2016/37
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „12“ „თებერვალი“ 2016 წ.

სსიპ „სმართ ლოჯიქი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი მეჟლუმიანის სახით და შპს „ტელკო სისტემსი“, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გულიაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. ხელშეკრულების ღირებულება - საქონლის ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ჩათვლით;

1.3. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ინსპექტირება - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან ხმოვანი ტესტერის (შემდგომში - საქონელი) სახელმწიფო შესყიდვა (CPV-38340000).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 354,80 (სამასორმოცდათოთხმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

3.2. ერთი ერთეული მიკროფონიანი ყურსასმენის ღირებულება შეადგენს 177,40 (ასსამოცდაჩვიდმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს 2 (ორი) ერთეული ხმოვანი ტესტერის (Catvscore 5 in 1 Caple Tester For RJ45. RJ11. 1394. USB&BNC) მიწოდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 16 თებერვლის ჩათვლით, მისამართზე - თბილისი, ალ.ყაზბეგის ქ.29ა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. გარანტია

5.1. მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5.2. მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) დღის ვადით.

5.3. საგარანტიო პერიოდში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს ახლით.

მუხლი 6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „სმართ ლოჯიქი"-ს ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი თენგიზ თიკანაშვილი და სსიპ „სმართ ლოჯიქის" ეკონომიკური სამსახურის ლოჯისტიკის მენეჯერი გიორგი მეზურნიშვილი, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ საქონელს აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

მუხლი 7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: სსიპ „სმართ ლოჯიქის" საკუთარი სახსრები.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. ან/და 6.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების 0.02%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-სპროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთ,ვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398- ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. ამ ხელშეკრულების 12.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიმართონ საქართველოსსასამართლოს.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და (გარდა ხელშეკრულების 5.3, 6.4 და 10.2. პუნქების) მოქმედებს 2016 წლის 30 მარტის ჩათვლით.

14.2. ხელშეკრულების 5.3, 6.4. და 10.2. პუნქტები მოქმედებს მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „სმართ ლოჯიქი",	შპს „ტელკო სისტემსი",
წარმოდგენილი დირექტორის	წარმოდგენილი დირექტორის
მოვალეობის შემსრულებლის	ირაკლი გულიაშვილის სახით,
გიორგი მეჟლუმიანის სახით,	მისამართი: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის ქ.29ა
მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,	ტელეფონი: 2192999 (116),
ტელეფონი: 240 51 60,	საბანკო რეკვიზიტები:
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.	ანგ. № GE54VT6600001212123602,
№GE24NB0330100200165022,	სს „ვითივი ბანკი ჯორჯია", კოდი: UGEBGE22,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,	სკ - 205203279
სკ - 206350599	
----------	----------